200117

შპს „DS გრუპი"-ს დირექტორს
ბატონ დავით სალაძეს
ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. №13

ბატონო დავით,

ქ. ბათუმის მერიაში შემოსული თქვენი 2016 წლის 07 დეკემბრის №4003/01 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩის გასწვრივ, ტბ. აბუსერიძის ქუჩიდან ფიროსმანის ქუჩის გადაკვეთამდე არსებული სკვერების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: 05.24.08.121; 05.24.08.014) და მის მომიჯნავედ არსებული გამწვანებული ტერიტორიის კეთილმოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოთხოვნილი მშენებლობა განეკუთვნება I კლასის ობიექტს. აღნიშნული კლასის მშენებლობას არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა. ამავე დროს მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიდასტურებთ ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩის გასწვრივ, ტბ. აბუსერიძის ქუჩიდან ფიროსმანის ქუჩის გადაკვეთამდე არსებული სკვერების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: 05.24.08.121; 05.24.08.014) და მის მომიჯნავედ არსებული გამწვანებული ტერიტორიის კეთილმოწყობის შესაძლებლობას წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის შესაბამისად.

პატივისცემით,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი — გიორგი ერმაკოვი

შეთანხმებულია:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის არქიტექტურისა
და ურბანული დაგეგმარების
სამსახურის უფროსი — ირაკლი ახალაძე